საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-183

27/02/2020

ქ. თბილისი

შპს „ბათუმის აეროპორტის“ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ტერმინალის შენობის რეკონსტრუქცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ბათუმის აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ტერმინალის შენობის რეკონსტრუქცია) სკრინინგის განცხადება.

2010 წელს სამინისტროს მიერ შპს „ბათუმის აეროპორტის“ მიერ წარმოდგენილ „ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის“ გზშ-ის ანგარიშზე გაიცა N86 (22.12.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის N652 ბრძანებით გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბერის N2-1140 ბრძანებით შპს „ბათუმის აეროპორტის“ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

მგზავრისთვის მეტი სივრცისა და კომფორტის მოწყობის, აგრეთვე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შპს „ბათუმის აეროპორტმა“ გააფართოოს ტერმინალის შენობა.

ბათუმის აეროპორტი მდებარეობს ქ. ბათუმის სამხრეთ-დასავლეთით, აეროპორტის გზატკეცილი N220. ქალაქის ცენტრიდან დაახლოებით 4,5 კილომეტრზე. მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია აეროპორტის ინფრასტრუქტურა შეადგენს 116 ჰექტარს. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს შპს „ბათუმის აეროპორტის“ საკუთრებას. ნაკვეთს ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთის მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები და საცხოვრებელი სახლები ესაზღვრება, სამხრეთით და სამხრეთ- დასავლეთით თავისუფალი, დაუსახლებელი სახელმწიფო და კერძო ტერიტორიები, ხოლო დასავლეთით, საავტომობილო გზა, სანაპირო ზოლი და შავი ზღვა. სარეკონსტრუქციო ტერმინალის შენობიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 120 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, გათვალისწინებულია მგზავრთა მიმღები ტერმინალის შენობის რეკონსტრუქცია. არსებული ფასადის და გამოყენებული კონსტრუქციების ანალოგიურად შენობას მარჯვნიდან (42 მ) და მარცხნიდან (30 მ) გაუკეთდება მიშენება, შენობის სიგრძე იქნება 192 მეტრი. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერმინალის გაფართოება მოხდება არსებული ტერმინალის სიმაღლეების შესაბამისად. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს აეროპორტისთვის განკუთვნილი სხვა ინფრასტრუქტურის ცვლილებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მგზავრთა ზონებში განთავსდება (skylight) ფანჯრები, რომელიც დაკავშირებული იქნება ხანძრის ამოცნობის სისტემასთან. შენობას აგრეთვე ექნება საევაკუაციო გასასვლელი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი სამუშაოები არ ითვალისწინებს შენობის მთლიან ან ნაწილობრივ დემონტაჟს. რეკონსტრუქციის განმავლობაში ადგილი არ ექნება ნგრევის შედეგად ნარჩენების წარმოქმნას. მშენებლობა განხორციელდება ისე, რომ არ შეჩერდება ტერმინალის ფუნქციონირება. მშენებლობის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 12 თვეს. ტერმინალის მშენებლობისთვის ადგილზე არ იგეგმება სამშენებლო მასალების წარმოება, ტერიტორიაზე მოხდება მზა სამშენებლო მასალის შემოტანა. შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე სამუშაოების განხორციელებით ატმოსფერულ ჰაერზე მაღალი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ტერმინალის ოპერირების ეტაპზე გაფართოების შედეგად საჭირო იქნება ერთი დამატებითი გამათბობელის მოწყობა, რომელიც იმუშავებს ბუნებრივ აირზე. ტერმინალის გაფართოების შედეგად ოპერირების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ხარისხი არ იქნება მაღალი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი. საპროექტო ტერიტორიაზე ადმინისტრაციის მიერ ხელოვნურად მოწყობილია მწვანე საფარი, სადაც მშენებლობის დაწყებამდე მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. მოხსნილი ნაყოფიერი ფენის გამოყენება დაგეგმილია აეროპორტის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლის მოსაწყობად. საძირკველების მოსაწყობად ამოღებული მცირე რაოდენობის გრუნტი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსასწორებლად და სხვა სამშენებლო სამუშაოებისთვის.

აეროპორტის ტერმინალის შენობაში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, შესაბამისად, წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჩამდინარე წყლები, რომელიც იკრიბება და ჩაედინება აეროპორტის გამწმენდ ნაგებობაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად არ არის გათვალისწინებული შენობაში მავნე ნივთიერებების საწყობის მოწყობა. დაგეგმილი საქმიანობა ოპერირების ეტაპზე არ ზრდის ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების რისკებს.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება წითელი ნუსხით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული სახეობები. ტერიტორიაზე წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული ხელოვნურად განაშენიანებული კვიპაროსისებრთა ოჯახის ხე, რომელიც დარგო შპს „ბათუმის აეროპორტმა“. ტერმინალის გაფართოების პროექტი ითვალისწინებს თითოეული ხის გადარგვას აეროპორტის ეზოს სხვა ტერიტორიაზე.

ტერიტორიის მაღალი და ხანგრძლივი ტექნოგენური დატვირთვის გამო, არ არის წარმოდგენილი ცხოველთა და ფრინველთა სახეობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ბათუმის აეროპორტის ტერმინალის გაფართოების სამშენებლო სამუშაოებით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი ხარისხის.

შპს „ბათუმის აეროპორტის“ მიერ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში არსებული მდგომარეობა. საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე, აეროპორტის ტერმინალის გაფართოება და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ბათუმში, შპს „ბათუმის აეროპორტის“ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ტერმინალის შენობის რეკონსტრუქცია) პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-1140) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ბათუმის აეროპორტმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის'' სამინისტროსთან შეთანხმება (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით);
4. შპს „ბათუმის აეროპორტისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 25 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება N2-1140) პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის აეროპორტს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის აეროპორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი